შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი- ბათუმი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2024 წლის ანონსი

(2024 წელს იგეგმება კატალოგში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება)

ბათუმი

2024 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროგრამა განხორციელდება ორგვარი მიდგომით - ინტეგრირებული და არაინტეგრირებული

(პროგრამის განხორციელების ადგილი- ქ. ბათუმი, ვ. შამილაძის ქ. №30)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **(ინტეგრირებული პროგრამა),** რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება;
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(არაინტეგრირებული პროგრამა),** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

სწავლის ხანგრძლივობა :

პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 16 სასწავლო თვეს (65 სასწავლო კვირა).

- თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებით (15 - 15 კრედიტის მოცულობით) რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით და **შეადგენს 26 სასწავლო თვეს.**
- **პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს სამ სასწავლო წელს.**

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებით (15 - 15 კრედიტის მოცულობით) რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, **ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით.**

1. **პროგრამის დონე** - მეოთხე

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“ (კოდი 0612).

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

4. **კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.02.0; 62.03.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3513

5. **სტრუქტურა და მოდულები**

- კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად **90 კრედიტი.** რომელთაგან 10 კრედიტი არის ზოგადი მოდული, 31 კრედიტი საერთო პროფესიული მოდული, 49 კრედიტი პროფესიული მოდული.
- კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად **148 კრედიტი,** რომელთაგან 8 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 60 კრედიტი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული მოდული, ხოლო 49 კრედიტი არის პროფესიული მოდული.
- მოდულის, ,,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) და ,,ქართული ენა B1” (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება:

- პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 178 კრედიტი;
- პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 120 კრედიტი

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

1. სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
2. Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
3. ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
4. ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
5. დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
6. ფაილური და ბეჭდვის სერვერის ბაზისური მართვა;
7. სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
8. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
9. Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
10. Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
11. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
12. სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
13. დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
14. კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
15. ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.

7. პროგრამის განხორციელების მიდგომა - იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლება. პროგრამისთვის გათვალისწინებულია ორი სასწავლო გეგმა - ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით და მის გარეშე.

8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.

9. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

10 . სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/ წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - პროგრამით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვებტექნოლოგიები

პროგრამა განხორციელდება ორგვარი მიდგომით - ინტეგრირებული და არაინტეგრირებული

(პროგრამის განხორციელების ადგილი- ქ. ბათუმი, ვ. შამილაძის ქ. №30)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**ინტეგრირებული პროგრამა**), დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება;
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**არაინტეგრირებული პროგრამა**), დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება;

სწავლის ხანგრძლივობა :

პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 სასწავლო თვეს (48 სასწავლო კვირა).

- თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებით (15 - 15 კრედიტის მოცულობით) რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით და **შეადგენს 22 სასწავლო თვეს.**

- **პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს სამ სასწავლო წელს.**

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებით (15 - 15 კრედიტის მოცულობით) რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, **ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით.**

1. **პროგრამის დონე -** მეოთხე

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - *„შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”*

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასვე - დეველოპინგი (front_ის მხარე).

4. **კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

5. **სტრუქტურა და მოდულები**

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც **არ არის ინტეგრირებული** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად **64 კრედიტი, რომელთაგან** 6 ზოგადი მოდული- ჯამური 18 კრედიტის მოცულობითაა, 9 პროფესიული მოდული - ჯამური 46 კრედიტის მოცულობითაა.

ვებტექნოლოგიების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც **ინტეგრირებულია** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად **114 კრედიტი,** რომელთაგან 8 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 60 კრედიტი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები, პროფესიულ მოდული - ჯამური 46 კრედიტის მოცულობითაა.

მოდულების: ,,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) და ,,ქართული ენა B1” (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება:

- პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 94 კრედიტი
- პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 144 კრედიტი

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
8. შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
10. დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება

7. პროგრამის განხორციელების მიდგომა - იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლება. პროგრამისთვის გათვალისწინებულია ორი სასწავლო გეგმა - ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით და მის გარეშე.

8. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.

9. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/ წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - პროგრამით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრების (აპელაცია)

- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც პირველადი ასევე გადაბარების შეფასების შედეგი;
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს გაასაჩივროს შეფასების შედეგი, რისთვისაც განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს;
- სკოლის დირექტორი გასაჩივრების თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს სააპელაციო კომისიის შექმნის თაობაზე;
- სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით;
- სააპელაციო კომისია განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას მისი უფლებამოსილების წარმოშობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით;
- სააპელაციო კომისია იღებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე;

ბ) მიღებული შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

- გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს მეცადინეობებს;

- პროფესიულ სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება იმავე დღეს ეცნობება პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით/სტუდენტის პირად ელექტრონული ფოსტის მისამართზე;
- განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდა

ყველა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.

შუალედური შეფასების არსი და მიზანი

- შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. გამოიყენება, როგორც პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის, ასევე - პროგრამის შემდგომი სრულყოფისთვის.
- შუალედური შეფასების საგანია პროფესიული სტუდენტის პროფესიული ცოდნა და უნარები/კომპეტენციები. შუალედური შეფასების თემატიკა ეფუძნება შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს.
- შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

კვალიფიკაციის მინიჭება

- პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი.

ინტეგრირებულ პროგრამაზე ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასება და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება

ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი პროფესიის პარალელურად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული მიზნებისთვის პროგრამაში გათვალისწინებულია 60 კრედიტი (1500 საკონტაქტო საათი) შემდეგი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში: ,,კომუნიკაცია ქართულ ენაზე", ,,მათემატიკური წიგნიერება", ,,მეწარმეობა", ,,მოქალაქეობა" და მეცნიერება და ტექნოლოგიები".

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი

განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურა განსაზღვრულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისი №48./ნ ბრძანების შესაბამისად და აღნისნულ წესს პირი გაეცნობა პროგრამაზე ჩარიცხვის პირველი დღეებიდანვე.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების მომზადება. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ტაქსონომიის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში სწავლის შედეგი მიუღწეველია.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ტაქსონომია

1. პრესტრუქტურული დონე:
პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი. იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას, ან/და საერთოდ აცდენილია საკითხი.
2. უნისტრუქტურული დონე:
პროფესიულ სტუდენტს შეუძლია, მხოლოდ, ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა, ცხადი კავშირების დამყარება. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება, პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.
3. მულტისტრუქტურული დონე:
პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება, მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვა.
4. მიმართებითი დონე:
პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურიზებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაბამისი უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზ-შედეგობრიობის კუთხით.

5. აბსტრაქტული დონე:
პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში, მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკულად გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

- ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი დადასტურების კომისიის მიერ.
- დადასტურების კომისია ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს და იღებს ერთ- ერთ გადაწყვეტილებას:

ა. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება;

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი (დანართით).

ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულის დიპლომი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლებისა ატესტატთან და მას უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სკოლა პროგრესი გისურვებთ წარმატებებს!